შეტყობინება მერვე

ქალაქის კედლის აშენება ეკლესიის, როგორც ღმერთის სახლის, დასაცავად

ადგილები წერილიდან: ნეემ. 1:3; 2:9-20

I. ეზრას წიგნი არის ისტორია ისრაელის ტყვეების დაბრუნებისა და ტაძრის ხელახლა აშენებისა; ნეემიას წიგნი არის ისტორია ქალაქ იერუსალიმის კედლის ხელახლა აშენებისა – ნეემ. 2:17-20:

ა. ქალაქ იერუსალიმს იცავდა მასში მყოფი ღმერთის სახლი – მუხ. 13;

1. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთის სახლის, როგორც ღმერთის საცხოვრებლისა და სავანის, არსებობისათვის დედამიწაზე საჭიროა ღმერთის სამეფოს, როგორც სფეროს, დამყარება, რომელშიც დაცულია ღმერთის ინტერესები დედამიწაზე მისი მმართველობისათვის, რათა მან განახორციელოს თავისი სახლმშენებლობა – მუხ. 15.
2. განმეორებითი აშენება ღმერთის სახლისა არის ღმერთის მიერ დეგრადირებული ეკლესიის აღდგენის წინასახე, ხოლო ქალაქ იერუსალიმის კედლების ხელახლა აშენება არის ღმერთის მიერ თავისი სამეფოს აღდგენის წინასახე – მუხ. 17-20.

ბ. ღმერთის მიერ თავისი სახლის აშენება და ღმერთის მიერ სამეფოს აშენება განუყოფლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან – მათე 16:18-19.

II. ნეემიას წიგნის პირველი ნაწილი, თავები 1-ლიდან მე-7-ს ჩათვლით, ეძღვნება ქალაქ იერუსალიმის კედლის ხელმეორედ აშენებას ნეემიას ხელმძღვანელობით:

ა. ნეემიამ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ იერუსალიმის კედელი დანგრეული იყო, ხოლო კარიბჭეები დამწვარი იყო ცეცხლით – 1:3ბ.

ბ. ნეემიას 2:9-ში საუბარია ნეემიას მოგზაურობაზე იერუსალიმში და მის პირად დაკვირვებაზე იერუსალიმის კედელის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

გ. ნეემიას 2:17-20-ში საუბარია იერუსალიმის კედლის ხელმეორედ აშენებაზე:

1. ტაძარი არის უფლის თანდასწრების ადგილი, სადაც ჩვენ ვხვდებით უფალს და ვემსახურებით მას, მაგრამ ტაძარი მოითხოვს დაცვას.
2. ქალაქის კედელი ემსახურება ტაძრის დაცვას; კედლის გარეშე ქალაქს არა აქვს დაცვა.
3. ქალაქის კედელი განკუთვნილია არა მარტო დაცვისათვის, არამედ გამოყოფისთვისაც.
4. ნეემიას წიგნში საუბარია, რომ ჩვენ ყველამ უნდა ავაშენოთ კედლის ჩვენი ნაწილი; თითოეულმა უნდა ააშენოს თავისი ნაწილი – 4:6, 19.

დ. ჩვენ სიღრმისეულად უნდა გავყვეთ ნეემიას ნიმუშს, რათა „ავაშენოთ კედელი“, ავაშენოთ ეკლესია, როგორც ღმერთის სამეფო, ეკლესიის, როგორც ღმერთის სახლის, ღმერთს საცხოვრებლის, დასაცავად – 2:4, 10, 17-20; ეფეს. 2:21-22.

III. კედლის აშენების მიზანი არის ის, რომ მოგვიყვანოს თითოეული ჩვენგანი სათანადო წესრიგში სიცოცხლეში ქრისტეს თავობის ქვეშ – 1:22-23; კოლ. 1:18; 2:19:

ა. ქრისტე არის სხეულის, ეკლესიის, თავიც, ერთობლივად, და ყველა მორწმუნის თავიც, ინდივიდუალურად; ის არის თავი უშუალოდ თითოეული ჩვენგანისა – 1:18; 1 კორ. 11:3.

ბ. ეკლესიური ცხოვრება არის ცხოვრება ქრისტეს უნიკალური თავობის ქვეშ მოყვანისა – ეფეს. 1:10, 22-23; 4:15-16; კოლ. 2:19.

გ. თუ ჩვენ პატივს ვცემთ ქრისტეს უნიკალურ თავობას, მაშინ უფლის აღდგენაში ეკლესია იქნება არა მარტო სახლი, არამედ ქალაქიც – ებრ. 11:10; ეზრ. 1:2-3; ნეემ. 1:9; 2:5, 17; 1 ტიმ. 3:15; გამოცხ. 21:2, 10-11:

1. ეკლესია, როგორც სახლი, დაკავშირებულია ძირითადად ქრისტესთან, როგორც სიცოცხლესთან, ხოლო ეკლესია, როგორც ქალაქი, დაკავშირებულია ძირითადად ქრისტესთან, როგორც თავთან – 1 ტიმ. 3:15; მათე 5:14; კოლ. 3:4; 1:18:

   ა) როდესაც ჩვენ განვიცდით ქრისტეს, როგორც სიცოცხლეს, და ვტკბებით მისით, როგორც სიცოცხლით, ჩვენ გვაქვს ეკლესია, როგორც სახლი; როდესაც ჩვენ განვახორციელებთ ქრისტეს უნიკალურ თავობას სინამდვილეში, ეკლესია გადიდდება როგორც ქალაქი, რომელიც აღნიშნავს ღმერთის სამეფოს – მათე 16:18-19.

   ბ) ეკლესია, როგორც ქალაქი, შენდება არა მარტო ქრისტესაგან, როგორც სიცოცხლისაგან, არამედ ქრისტეს თავობისგანაც, ამიტომ ქრისტე უნდა იყოს არა მარტო ჩვენი სიცოცხლე, არამედ ჩვენი თავიც – კოლ. 3:4; 1:18; 2:19.

2. თუ ჩვენ პატივს ვცემთ ქრისტეს უნიკალურ თავობას, მაშინ ეკლესია გაიზრდება, გადაიქცევა სახლიდან ქალაქად, მეფისა და მისი სამეფოსათვის – ფსალ. 48:1-2; 1 კორ. 1:2; 12:12-13, 27; ეფეს. 1:22-23; 4:15-16; გამოცხ. 21:2, 10-11, 14; 11:15.

IV. ჩვენ უნდა ავაშენოთ კედელი, რათა დავიცვათ ეკლესია განსხვავებული სწავლებებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება მოციქულთა სწავლებას – საქმე. 2:42; 1 ტიმ. 1:3-4:

ა. განსხვავებულ სწავლებებში იგულისხმება სწავლებები, რომლებიც არ შეესაბამება ღმერთის სახლმშენებლობას – 6:3.

ბ. განსხვავებული სწავლებები 1:3-4, 6-7; 6:3-5, 20-21 და ერესები 4:1-3-ში – არის ის თესლი, ის სათავე, რომლითაც გამოწვეულია ეკლესიის დაცემა, მისი დეგრადაცია, მისი გადაგვარება.

გ. განსხვავებული სწავლებები ანგრევს ღმერთის ნაგებობას და არაფრამდე დაჰყავს ღმერთის სახლმშენებლობა; თუ ჩვენ ოდნავ მაინც ვასწავლით განსხვავებულს, ეს უკვე ანადგურებს აღდგენას.

დ. იმისათვის, რომ ვმართოთ ადგილობრივი ეკლესია და ვმწყემსოთ ის, პირველ რიგში საჭიროა, რომ ბოლო მოვუღოთ განსხვავებულ სწავლებებს, განმაცალკევებლებს, რომლებსაც გადაჰყავს წმიდანები ღმერთის სახლმშენებლობის ცენტრალური ხაზიდან – ტიტ. 1:9.

ე. ჩვენ უნდა გავექცეთ განსხვავებულ სწავლებებს და ყურადღება უნდა გავამახვილოთ ღმერთის სახლმშენებლობაზე ქრისტესა და ეკლესიასთან დაკავშირებით – 1 ტიმ. 1:3-4; ეფეს. 3:9; 5:32.

V. თუ ეკლესიაში აშენდება კედელი, ჩვენ ვიქნებით დაცული მათგან, ვისაც იყენებს მტერი, რათა გაანადგუროს ღმერთის სახლმშენებლობის სამუშაო:

ა. ღვთაებრივი ნაგებობის გამანადგურებლები არიან ისინი, ვინც ქადაგებს ერესს და ასწავლის ერესს – 2 პეტ. 2:1; 2 იოანე 7-11:

1. ისინი, ვინც ასწავლიან ერესს ქრისტეს პიროვნებაზე, – არიან ანტიქრისტეები, რომლებიც უარყოფენ უფლის, როგორც მპყრობელის, პიროვნებას, და – უფლის გამოსყიდვას, რომლითაც უფალმა იყიდა

მორწმუნეები; იმის უარყოფა, რომ ადამიანი იესო არის ღმერთი, არის სერიოზული ერესი – მუხ. 7; 1 იოანე 2:18, 22-23; 4:2-3.

2. მოციქული აფრთხილებდა მორწმუნეებს, რომ ისინი, აქცევდნენ რა ყურადღებას თავიანთ თავს, არ დაქვემდებარებოდნენ ერესის ზეგავლენას და არ დაეკარგათ ის, რაც დაკავშირებული იყო ჭეშმარიტებასთან; ჩვენ უნდა უარვყოთ ისინი, ვინც უარყოფს ქრისტეს ჩასახვასა და ღვთაებას, არ მივიღოთ ისინი ჩვენს სახლში და არ მივესალმოთ მათ – 2 იოანე 8-11.

ბ. ღვთაებრივი ნაგებობის გამანადგურებლები არიან ისინი, ვინც არიან დამყოფები, სექტანტები – ტიტ. 3:10:

1. დამყოფი არის ერეტიკოსი და სექტანტი, რომელიც წარმოქმნის დაყოფებს, აყალიბებს ეკლესიაში დაჯგუფებებს, საკუთარი მოსაზრებების საფუძველზე; იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ეკლესიაში სათანადო წესრიგი, უნდა მოვერიდოთ მათ, ვინც წარმოქმნის განხეთქილებასა და დაყოფას, და უნდა უარვყოთ ის პირველი და მეორე შეგონების შემდეგ – მუხ. 10.

2. ვინაიდან მსგავსი მიდრეკილება განცალკევებისაკენ გადამდებია, ეს უარყოფა არის ეკლესიის ინტერესებში, რათა შესაძლებელი იყოს, რომ შევწყვიტოთ ურთიერთობები ადამიანთან, რომლისგანაც მოდის დაყოფა – შდრ. რიცხ. 6:6-7.

გ. ღვთაებრივი ნაგებობის გამანადგურებლები – არიან ისინი, ვინც წარმოქნის დაყოფებს – რომ. 16:17:

1. რომაელთა მიმართ წერილის მე-14 თავში პავლემ გამოავლინა სიფართოვე და მოწყალება მათ მიღებასთან დაკავშირებით, ვისაც ჰქონდა განსხვავებული მოსაზრება დოქტრინაში ან პრაქტიკაში, მაგრამ რომ. 16:17-ში ის მიზანდასახულად და გადაჭრით აცხადებდა, რომ ჩვენ უნდა „მოვერიდოთ მათ, ვინც განხეთქილებასა და საცდურს ქმნის წინააღმდეგ იმ მოძღვრებისა, რომელიც თქვენ ისწავლეთ, და ზურგი აქციეთ მათ“.

2. უფალს სძულს ისინი, ვისაც მოაქვს დაყოფები ძმებს შორის – იგავ. 6:16, 19.

დ. ღვთაებრივი ნაგებობის გამანადგურებლები არიან ისინი, ვინც განიცდის პატივმოყვარულ მისწრაფებას გარკვეული მდგომარეობისაკენ – 3 იოანე 9:

1. ჩვენ არასოდეს არ უნდა ვესწარფოთ იმ შესაძლებლობას, რომ ვიყოთ პირველები რამე სამუშაოში უფლისათვის; შევეჯიბროთ სხვებს იმისათვის, რომ ვიყოთ პირველები, ეს არის დაფარული პატივმოყვარეობის მზაკვრული სამუშაო – მუხ. 9.

2. ღვთაებრივი ნაგებობის გამანადგურებლები არიან ისინი, ვინც არიან მგლები, რომლებიც არ ინდობენ ფარას, და ისინი, ვინც ლაპარაკობენ დამახინჯებულს, რათა წაიყვანონ მორწმუნეები – საქმე. 20:29-30.

VI. მას შემდეგ, რაც აშენდება კედელი, ჩვენ შევძლებთ, რომ წინ აღვუდგეთ სიკვდილის თავდასხმებს ეკლესიაზე და ავაშენოთ ქრისტეს სხეული ქრისტეს აღდგომის სიცოცხლეში – მათე 16:18; იოანე 11:25; ეფეს. 1:22-23; 4:16:

ა. სიკვდილი არის გამორჩეული თვისება სატანის მუშაობისა; საბოლოო მიზანი სატანის მუშაობისა არის ის, რომ გაჟღინთოს ადამიანი სიკვდილით – ებრ. 2:15.

ბ. მათეს 16:18 ნაჩვენებია, რომელი წყაროდან გამოდის თავდასხმები ეკლესიაზე – „ჯოჯოხეთის კარიბჭიდან“, ანუ სიკვდილიდან:

1. სატანის განსაკუთრებული ამოცანა არის ის, რომ გაავრცელოს სიკვდილი ეკლესიაში, ხოლო ის, რისიც მას ყველაზე მეტად ეშინია ეკლესიასთან

დაკავშირებით, არის ეკლესიის წინააღმდეგობა მისი სიკვდილის ძალის წინააღმდეგ – გამოცხ. 2:8, 10-11.

2. ეკლესიას, რომელიც შენდება ამ კლდეზე, შეუძლია განასხვაოს სიკვდილი სიცოცხლისაგან, და ჯოჯოხეთის ბჭენი ვარ დაძლევენ ეკლესიას – მათე 16:18.

გ. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ქრისტეს როგორც პირველსა და უკანასკნელს (მას, ვინც არის მარადიულად არსებული, უცვლელი) და მას, ვინც მოკვდა და გაცოცხლდა (მას, ვინც არის აღდგომა) – გამოცხ. 1:17-18; 2:8; იოანე 11:25; საქმე. 2:24.

დ. ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ ქრისტეს სხეული მხოლოდ ქრისტეს აღდგომის სიცოცხლეში – ეფეს. 2:6, 21-22; 4:16; გამოცხ. 1:18; 2:8; ფილიპ. 3:10:

1. ქრისტეს სხეული იმყოფება ქრისტეს აღდგომის სიცოცხლეში – იოანე 11:25:
   ა) ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის, ბუნება არის აღდგომა – საქმე. 2:24; ეფეს. 1:19-23.
   ბ) ეკლესია არის ახალი ქმნილება, რომელიც შექმნილია ქრისტეს აღდგომაში და აღმდგარი ქრისტეს მიერ – 1 პეტ. 1:3; ეფეს. 2:6; გალ. 6:15.
2. ქრისტეს სხეული არის აღდგომაში, ხოლო აღდგომის სინამდვილე არის ქრისტე, როგორც მაცოცხლებელი სული – იოანე 11:25; 20:22; 1 კორ. 15:45ბ.
3, აღდგომის პრინციპი არის ის, რომ ბუნებრივი სიცოცხლე კვდება, ხოლო ღვთაებრივი სიცოცხლე წამოიმართება, რათა დაიკავოს მისი ადგილი – 2 კორ. 1:9.
4. როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ არა ბუნებრივი სიცოცხლის მეშვეობით, არამედ ჩვენში მყოფი ღვთაებრივი სიცოცხლის მეშვეობით, ჩვენ ვიმყოფებით აღდგომაში; ასეთი ცხოვრების შედეგი არის ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის, ზრდა და აშენება – ფილიპ. 3:10-11; ეფეს. 4:15-16; კოლ. 2:19; 3:15.